წერილის ნომერი: **18-01190954461**
თარიღი: **05/04/2019**
პინი: **2654**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც „სამსახური") განიხილა თქვენი 2019 წლის 19 მარტის N60-01190783334 წერილი და თანდართული დოკუმენტაცია (ირმა წიქარიშვილის №AR1657126 განცხადებით წარმოდგენილი მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების საექსპერტო დასკვნა; ტოპო. გეგმა), რომლითაც განმცხადებელი ითხოვს, ნელი წიქარიშვილის კუთვნილ ტერიტორიაზე (ქალაქი თბილისი, სოფელი შინდისი, ს.კ.: 81.02.09.580; ფუნქციური ზონა: სზ-1) III კლასის ობიექტის განთავსების მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებას).

გაცნობებთ, რომ „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის (შემდგომში მოხსენებული, როგორც „კანონი") მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის" (შემდგომში მოხსენებული, როგორც „დადგენილება") 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე 15 ერთეულზე ნაკლები რაოდენობის, 12 სმ-ზე ნაკლები დიამეტრის ხილ-კენკროვანი მცენარის მოჭრა ან/და გადარგვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ ნებართვის გაცემას არ საჭიროებს. ვინაიდან მოსაჭრელად ან/და გადასარგავად მოთხოვნილი, 1 ძირი შინდი (N7), 1 ძირი კომში (N16), 2 ძირი ვაშლი (N4,5), 3 ძირი ალუბალი (N1,2,3) 3 ძირი ქლიავი (N6,9,1) და 6 ძირი (ბალი (N8,11,12,13,14,15), სულ - 16 ერთეული მცენარე განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა ჯგუფს, რომელთაგან მხოლოდ 11 ძირი მწვანე ნარგავის დიამეტრი აღემატება 12 სმ-ს, შესაბამისად, **განმცხადებელს არ სჭირდება სამსახურის ნებართვა იმისთვის, რომ მოჭრას ან/და გადარგოს აღნიშნული ხილ-კენკროვანი მწვანე ნარგავები.**

ასევე, გაცნობებთ, რომ თუ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანის გარდა უნებართვოდ მოიჭრება სხვა სახეობის მწვანე ნარგავი, სამართალდარმღვევის მიმართ გატარდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

რაც შეეხება N10 კაკლის ხის გადარგვის საკითხს, მოგახსენებთ, რომ მოცემული ნარგავი არის დიდი დიამეტრის (30.3სმ) ხე. შესაბამისად, ტექნიკური პირობების გათვალისწინებით მისი ბუნებრივი გარემოდან ამოღება/დარგვა მოითხოვს ცალკეულ შემთხვევებზე დეტალური ინსტრუქციის მომზადებას, ფიზიკური მახასიათებლების, მდებარეობისა და სამუშაოს სირთულის გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **იმისათვის, რომ სამსახურმა სრულყოფილად იმსჯელოს მოცემულ საკითხზე და მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება, განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოთ უფლებამოსილი პირის მიერ ინდივიდუალურად შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია და წერილობითი დასტური იმ პირისგან, ვინც განახორციელებს გადარგვის სამუშაოებს და გააჩნია შესაბამისი სპეც. ტექნიკა.**

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

